-

შპს “თამარინა”

ქ.თბილისში, ნინო ჯავახიშვილის ქუჩა №7-ში მდებარე, შპს "სტატუსი"; თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმიჯი"-ს შენობებზე მიშენება-დაშენება.

სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი.

მუშა პროექტი

დაამუშავა: /ლ.მექვაბიშვილი/

ქ.თბილისი 2021 წელი

შინაარსი

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი
2. სარეკონსტრუქციო სამუშაოების პირობების და ობიექტის დახასიათება.
3. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობის დადგენა
4. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები
5. უსაფრთხოების ტექნიკა
6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

II – ძირითადი სამშენებლო მანქანებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნილებათა უწყისი

III – გამოყენებული ლიტერატურა

IV – სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

გრაფიკული ნაწილი (მოპ-1)

I – განმარტებითი ბარათი

1. საერთო ნაწილი

ა) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტის დამუშავების საფუძვლად დაედო შემდეგი მონაცემები:
- დავალება პროექტირებაზე;
- პროექტით მიღებული არქიტექტურული და კონსტრუქციული გადაწყვეტები
- მშენებლობის რაიონის სიტუაციური გეგმა;
- არსებული ფართის აზომვითი ნახაზები.

ბ) სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისად. ნორმატიული დოკუმენტების ჩამონათვალი მოცემულია III თავში (გამოყენებული ლიტერატურა), აგრეთვე შესაბამის თავებში და ქვეთავებში.

2. სარეკონსტრუქციო სამუშაოების პირობების და ობიექტის დახასიათება.

სარეკონსტრუქციო ნაგებობები მდებარეობენ ქ.თბილისში, ნინო ჭავახიშვილის ქუჩა №7-ში.
ნაკვეთის, რომლის ფართობია საკადასტრო რუქის მიხედვით 5841,00 მ2 და მასზე განთავსებული ნაგებობების მფლობელების დაკვეთით დამუშავდა მათი რეკონსტრუქციის პროექტი, მათზე მიშენება-დაშენების პროექტი.
პირველი სარეკონსტუქციო ობიექტი, შპს "სტატუსი", რომელსაც გენგეგმაზე აქვს მინიჭებული № 03, წარმოადგენს ხუთსართულიან შენობას, რომლის მაქსიმალური სიმაღლეა 0,00 ნიშნულიდან 20,25 მეტრი. გეგმაში იგი ტეხილი კონფიგურაციისაა მაქსიმალური ზომებით ღერძებში 36,3X21,1 მეტრი.
რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში იგეგმება მასზე სახანძრო-საევაკუაციო კიბის მიშენება და არსებულ ნიშნულზე 13,65-ზე საოპერაციო შესასვლელის დამხმარე სათავსოს აგება.
სახანძრო-საევაკუაციო კიბე,რომელიც განთავსებული იქნება 1" და ღ ღერძების კვეთაზე წარმოადგენს ლითონის პროფილებით აგებულ კონსტრუქციას, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ხუთივე

სართულიდან საევაკუაციო ღონისძიებების განხორციელება. კიბის გაბარიტული ზომებია გეგმაში 2,7X6,45 მეტრი, ხოლო მაქსიმალური სიმაღლე მიწის დონიდან 15,69 მეტრი. კიბის უჯრედი გარედან შეიფუთება ალუკაბონდის პანელებით,

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს,გარდა სახანძრო-საევაკუაციო კიბის აგებისა, რეკონსტრუქციის პროექტით იგეგმება საოპერაციოს დამხმარე სათავსოს მოწყობა.

სათავსოს აგება უნდა განხორციელდეს 13,65 მეტრის ნიშნულზე არსებულ გადახურვაზე. სათავსო უნდა აშენდეს მსუბუქი კონსტრუქციებით, მისი საერთო ფართია 10,8მ^2. სახურავი ერთქანობიანია, მაქსიმალური სიმაღლით 3,66 მეტრი.

მეორე სარეკონსტრუქციო შენობა, რომელსაც საკადასტრო გეგმაზე მინიჭებული აქვს 01 ნომერი, ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმიჯი, ორსართულიანი ნაგებობაა, რომლის მაქსიმალური სიმაღლეა მიწის დონიდან 6,59 მეტრი. მისი რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლაბში იგეგმება შენობაზე სახაძრო-საევაკუაციო კიბის მოწყობა. კიბის გაბარიტული ზომებია გეგმაში 1,29X11,3 მეტრი. მას გააჩნია ბაქანი 1,4X1,29 მეტრის და 33 საფეხური 0,30X1,29 მეტრზე. კიბის კონსტრუქცია ლითონისაა.

3. სარეკონსტრუქციო სამუშაოების ხანგრძლივობა

იმის გამო, რომ სარეკონსტუქციო სამუშაოების ხანგრძლივობა სამშენებლო ნორმებით გათვალისწინებული არ არის, მშენებლობის ხანგრძლივობას ვნიშნავთ ანალოგიური ხასიათის სამუშაოების გამოცდილების გათვალისწინებით – 6 თვე, მათ შორის 5 დღე – მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობაა. მოსამზადებელ პერიოდში უნდა მოხდეს სარეკონსტრუქციო სამუშაოებისთვის ფრონტის მომზადება, დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა, არსებული ქსელების განლაგების შემოწმება.

4. სამუშაოთა წარმოების წესები და მეთოდები.

ა. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უნდა მოხდეს საავტომობილო ამწის KC3561A მეშვეობით და ხელით. მიწის დამუშავება, მისი მოცულობის სიმცირიდან გამომდინარე განხორციელდება ხელით.

ბ. ნაგებობების აგების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობის და ნაგებობების გეომეტრიული პარამეტრების

გეოდეზიური კონტროლი. გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი გამოიხატება შემდეგში:

1. გეოდეზიურ (ინსტრუმენტულ) შემოწმებაში, თუ რამდენად შეესაბამება ელემენტების, კონტრუქციების და შენობის ნაწილების მდებარეობა საპროექტოსთან, მათი დროებითი გამაგრების და მონტაჟის პროცესის დროს.
2. კონსტრუქციების ელემენტების და შენობის ნაწილების აღმასრულებელ გეოდეზიურ გადაღებაში გეგმიური და სიმაღლებრივი მდებარეობის მონტაჟის დამთავრების შემდგომ.

5. უსაფრთხოების ტექნიკა

1. უცხო პირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.
2. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშნებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე.
3. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისათვის და ტექნოლოგიურობის უზრუნ-ველსაყოფად ასევე აუცილებელია მშენებლობის აღჭურვა განმარტებით ბარათში მოცემული ცხრილის მიხედვით, მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებით და დანადგარებით. მომუშავეეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები უნდა იყოს დაცული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წარმოების ყველა ეტაპზე თანახმად სნ და წ III-4-80 "უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში" და სხვა ნორმატიულ-საკა-ნონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:
4. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
5. ადვილად აალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწავლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიურ რაოდენობას მოთხოვნილების შესაბამისობით.
6. საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და თავსაბურავებს.
7. საყალიბო ქარგილები დაყენების შემდეგ მათში ბეტონის ჩასხმამდე მოწმდება საიმედობაზე. ასევე მოწმდება ბადიის

საიმედობაც და წესრიგიანობაც სამაგრების თვითგახსნა რომ არ მოხდეს.
8. მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების პირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს
9. ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათი მოცურება არ მოხდეს.
10. ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში,
11. ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.
12. იკრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელექტროქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოთა შესრულების შემდეგ ვიბრატორი სუფთავდება და მშრალად იწმინდება.
13. სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწევლები, პარკეტისა და მოზაიკის საპრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელექტრო შესადუღებელი აპარატები და სხვა) საბინაო ელექტროქსელში აკრძალულია.
14. დემონტაჟის დროს ქვედა სართულზე ყველანაირი სამუშაოს ჩატარება კატეგორიულად აიკრძალოს.

6. ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

1. სამუშაოების დაწყება დაიშვება მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
2. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშნებლობის სიახლოვეს იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.

გ. აკრძალულია სელიტებურ რაიონებში მშენებარე სიახლოვეს დიდი რაოდენობით ბეტონისა და ხსნარის შემოზიდვა ორგანიზებულ უნდა იქნეს სასაქონლო მოწოდებით საწარმოებიდან მიქსერებით.

დ. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

ე. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.

ვ. მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია, რათა ამ შემთხვევაშიც არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში. შენობა უნდა

აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით და ნაგვის ჩამოცლა კი მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.

ზ. გატარდეს ღონისძიებები ხანძრის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების (№30777-84) მიხედვით გატარდეს ღონისძიებები რათა ხმაურის დონე სამუშაოთა წარმოების მიმდინარეობისას არ აღემატებოდეს 55დ.ბ.

თ. გათვალისწინებული იქნას აგრეთვე სამშენებლო ნარჩენების მინიმიზაცია, პოლიმერული ნარჩენის გატანა ტერიტორიიდან მოხდეს შესაბამისი ნორმების დაცვით.

II – სამშენებლო მანქანების, მექნიზმების, დანადგარებისა და ინსტრუმენტის ჩამონათვალი

№	დასახელება	მარკა	რაოდ. ცალი	შენიშვნა
1.	საავტომობილო ამწე	КС-3561А	1	სარეკონსტრუქციო სამუშაოები
2.	ავტოთვითსაცლელი	ЗиЛ-4502	2	სატრანსპორტო სამუშაოები
3.	ელექტროშესადუღებელი აპარატები	კომპ.	1	სარეკონსტრუქციო სამუშაოები
4.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრიმენტები: ნიჩბები, ბრები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ.	5	სარეკონსტრუქციო სამუშაოები

III – გამოყენებული ლიტერატურა

СНиП III-4-80 Техника безопасности в строительстве
СНиП 3-02-01-87 Земляные сооружения
СНиП 3-01-01-85 Организация строительного производства
СНиП РН-73 Расчетные нормативы

IV. სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოების გრაფიკი

ეტაპები	სამუშაოთა ჩამონათვალი	დღე	I თვე			II თვე			III თვე			IV თვე			V თვე			VI თვე		
			10	20	31	10	20	30	10	20	31	10	20	30	10	20	31	10	20	31
	I რიგი – მშენებლობის განხორციელების მოსამზადებელი სამუშაოები																			
I	მოსამზადებელი სამუშაოები, ტერიტორიის შემოღობვა და დრო-ებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა,სადემონტაჟო სამუშაოები	5																		
II	მიშენებების გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება	1																		
	II რიგი – მშენებლობის განხორციელების ძირითადი სამუშაოები																			
III	ა) მიშენების მიწის სამუშაოები; ბ) მიშენების ფუძის მოწყობის სამუშაოები; გ) მიშენების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები; ე) შენობა-ნაგებობების ძირითადი კონსტრუქციული სისტემის (არამზიდი კონსტრუქციების გამოკლებით) მოწყობა;	116																		
IV	ვ) შენობა-ნაგებობების სახურავისა და გადახურვის მოწყობა; ზ) არამზიდი კონსტრუქციების მოწყობა;	41																		
V	თ) შენობა-ნაგებობების ლოკალური საერთო სარგებლობის საინჟინრო-ტექნიკური ქსელების მოწყობა; კ) შენობა-ნაგებობების გარე მოსაპირკეთებელი სამუშაოები;	21																		

დაამუშავა: /ლ.მექვაბიშვილი/

სარეკონსტრუქციო სამუშაოების გენგეგმა

დროებითი შენობა-ნაგებობების ექსპლიკაცია

1. დროებითი დია საწყობი
2. დროებითი შემოღობვა
3. დროებითი ჭიშკარი
4. საავტომობილო ამწე

საავტომობილო ამწე KC-3561A ტექნიკური დახასიათება

1. ტელესკოპიური ისრის სიგრძე – 18 მ.
2. ტვირთამწეობა – 10 ტ.
3. აწევის სიმაღლე:
   მინიმალურ შეცრაზე – 17 მ.
   მაქსიმალურ შეცრაზე – 7,5 მ.
4. ისრის შეცრა:
   მინიმალური – 6,75 მ.
   მაქსიმალური – 17,75 მ.
5. გაბარიტული ზომები:
   სიგანე – 2,5 მ.
   სიმაღლე – 3,8 მ.

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიშენება-დაშენებები
- დროებითი შემოღობვა
- დროებითი შენობა-ნაგებობები

ექსპლიკაცია.

1. შ.ა.ს. სტატუსი. შენობა № 03
2. ტექნიკური სათავსო. შენობა № 02/1
3. შ.ა.ს. თვალის მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა ოფთალმოლ. შენობა № 01/2
4. დამხმარე სათავსო.
5. სახანძრო საევაკუაციო კიბე №1. (საპროექტო)
6. საოპერაციო შესასვლელის დაშენება. (საპროექტო)
7. სახანძრო საევაკუაციო კიბე №2. (საპროექტო)

მიშენება-დაშენების რეკონსტრუქციის პროექტი		შპს. "თანხრონი პროექტი" ქ. თბილისი ცერეტელის ქ.№20 დამკვეთი შპს. ფარმასერვისი. ოფთალმ. მიკროქირურგიის ჯავრიშვილის კლინიკა "ოფთალმოლი".		
			ქ. თბილისი ნინო ჯავახიშვილის ქუჩა №7.	
სარეკონსტრუქციო სამუშაოების ეტაპები	დაკვეთა	დირექტორი. პრემიარქიტექტორი	მთავაროქმილაძე	
		დიზაინერი	ლემექვაბიშვილი	
	სტადია პროექტი			
პროექტის ორგანიზაციის პროექტი	ფურც. მიკ - 1			